

შეთანხმების აქტი №01

(სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთარშენის საჯარო სკოლასა და შ.პ.ს. „აღმაშენებელი 2012“-ს შორის 2020 წლის 09 ოქტომბერს გაფორმებულ №19 ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ)

სოფელი ოთარშენი

07 დეკემბერი 2020 წელი

ერთის მხრივ, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთარშენის საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის, ლეილა ნამორაძის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „აღმაშენებელი 2012“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი დირექტორის, გრიგოლ როსტომაშვილის სახით, მხარეთა შორის 2020 წლის 09 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №19 ხელშეკრულების მე-3 მუხლის მე-3.1 და მე-3.2 პუნქტების შესაბამისად, შევთანხმდით შემდეგზე:

1. მიმწოდებლის და შემსყიდველის წერილობითი მიმართვების გათვალისწინებით, ასევე ქვეყნაში შექმნილი ურთულესი ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან და შეზღუდვებიდან გამომდინარე, განხორციელდეს ცვლილება მხარეთა შორის 2020 წლის 09 ოქტომბერს გაფორმებულ №19 ხელშეკრულებაში, კერძოდ ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.6 პუნქტში სამუშაოების შესრულების ვადა ნაცვლად 60 (სამოცი) კალენდარული დღისა გახდეს 80 (ოთხმოცი) კალენდარული დღე. ეს ცვლილება გამომდინარეობს სრულ ობიექტურ მიზეზებზე დაყრდნობით და არ აზიანებს სახელმწიფო ინტერესებს.

2. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები/პუნქტები დარჩეს უცვლელი.

3. შეთანხმება შედგენილია იურიდიული ძალის მქონე ერთ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელსაც ხელი ორივე მხარის მიერ მოეწერება ელექტრონულად.

4. შეთანხმება დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ
ოთარშენის საჯარო სკოლა

დირექტორი: ლეილა ნამორაძე

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „აღმაშენებელი 2012“

დირექტორი: გრიგოლ როსტომაშვილი

(ხელმოწერა)